მალხაზ მაცაბერიძე *

ერნსტ რენანი ერის ცნების შესახებ და იმდროინდელი ქართული პოლიტიკური აზრი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ცნობილი ფრანგი მეცნიერის ერნსტ რენანის (1823-1892) ლექცია „რა არის ერი“ (1882) და ის დისკუსია, რაც მას იმ დროინდელ ქართულ საზოგადოებაში მოჰყვა. რენანის ლექცია იმავე წელს ითარგმნა ქართულად და აქტიური განხილვის საგანი გახდა. მან გავლენა მოახდინა მრავალი ქართველი მოღვაწის შეხედულებებზე. 1901 წელს რენანის ნაშრომი ხელახლა თარგმნა ქართულად და გამოქვეყნება უკავშირდებოდა საქართველოში გაშლილ დაპირისპირებას. ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ძალები რენანის თვალსაზრისს იყენებდნენ არგუმენტად ქართველი მარქსისტების წინააღმდეგ, რომლებიც იმ დროს ეროვნული ნიჰილიზმის პოზიციაზე იდგნენ.

საკვანძო სიტყვები: ერი, საქართველო, ერნსტ რენანი, ილია ჭავჭავაძე.

შესავალი

ერნსტ რენანი (1823-1892) ცნობილი ფრანგი რელიგიის ისტორიკოსი, სემიტოლოგი, ფილოსოფოსი და მწერალია. მისი მთავარი ნაშრომებია შვიდტომეული „ქრისტიანობის წარმოშობის ისტორია“ (1864-1907), ხუთტომეული „ისრაელის ხალხის ისტორია“ (1887-1893), მასვე ეკუთვნის „იესოს ცხოვრება“ (1863), „მოციქულები“ (1866), „სახარება“ (1877), „წმინდა პავლე“ (1869), „ანტიქრისტე“ (1873), „მარკ ავრელიუსი“ (1882) და სხვა.

---

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

ერნსტ რენანმა მთელი თავისი სამეცნიერო ცხოვრება მიუძღვნა სემიტი ხალხების, მათი ისტორიისა და გენეალოგიის შესწავლას. ამ ნაშრომის შექმნას მან ოცზე მეტი წელი მოანდომა. დასახელებულმა ნაშრომებმა ერნსტ რენანს დიდი აღიარება მოუტანა. თუმცა, ის არანაკლებ ცნობილია ასევე 1882 წლის 11 მარტს სორბონაში წაკითხული ლექციით „რა არის ერი?“. მასში რენანი შეეცადა ერის განსაზღვრების ჩამოყალიბებას. ეს ლექცია მრავალ ენაზე ითარგმნა მან სათავე დაუდო დიდ და ხანგრძლივ დისკუსიას, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები და პოლიტიკოსები და დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოშიც. რენანის მიერ ჩამოყალიბებულმა ერის განსაზღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში ეროვნულ-პატრიოტულ პოზიციაზე მდგომ მოაზროვნეებზე. მაგალითად, არაერთხელ აღნიშნულა, რომ ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ერის შესახებ თანხვედრაშია რენანის პოზიციასთან.

რენანის მოხსენება ილია ჭავჭავაძის ჟურნალმა „ივერიამ“ მაშინვე თარგმნა და დაბეჭდა („ივერია“, 1882 N 3, გვ.103-129), აღსანიშნავია, რომ ამ მოხსენების ახალი თარგმანი გაზეთმა „ივერიამ“ 1901 წ. 20 თებერვალსაც გამოაქვეყნა. ამ ორი თარგმანის შედარება საინტერესოა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ფორმირების თვალსაზრისითაც.

ერნსტ რენანს სამართლიანად მიიჩნევდნენ სამოქალაქო ერის იდეის ერთ-ერთ ავტორად. ეს იდეა თავიდანვე დაუპირისპირეს გერმანელი ერის კონცეფციას, ხოლო გარკვეულწილად სწორედ მის გამო ჩამოყალიბდა. გერმანული კონცეფცია ერს განსაზღვრავდა ფენომენის სახით, რომელიც ემყარება ობიექტურ საგნებს - ენას, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს. ამ კონცეფციამ მკაფიო ხასიათი მიიღო იოჰან გოტლიბ ფიხტეს „სიტყვები გერმანელი ერისადმი“. აღსანიშნავია, რომ ფიხტემ თავისი პატრიოტული ქადაგება შექმნა ფრანგების მიერ გერმანული მიწების ოკუპაციის საპასუხოდ. გერმანული

კონცეფციის ესენციალიზმზე თვალსაჩინო პასუხი იყო ისტორიზმი, რაც მკაფიოდ გამოვლინდა რენანის მოხსენებაში. ისტორიზმს სულ ერთი ნაბიჯი აშორებდა თვითგამორკვევის უფლების აღიარებას და ეს ნაბიჯი გადაიდგა კიდეც.

ერის შესახებ ერნსტ რენანის თვალსაზრისის გასააზრებლად აუცილებელია გავითვალისწინოთ თავად რენანის პოლიტიკური შეხედულებები და ის პოლიტიკური კონტექსტი, რის გამოც რენანმა წაიკითხა თავისი ცნობილი ლექცია.

1.ერნსტ რენანის პოლიტიკური შეხედულებები

1.1. „პროგრესი რევოლუციებისა და ომების გარეშე“

1848 წლამდე ერნესტ რენანი ნაკლებად ინტერესდებოდა პოლიტიკური და სოციალური საკითხებით. 1848 წლის თებერვლის რევოლუციამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ დემოკრატიისადმი სიმპათიები არ გამოუწვევია. წიგნში „მეცნიერების მომავალი“ (შეადგინა 1848 წლის ბოლოს და 1849 წელს), აღნიშნავდა, რომ ხალხი თავისი განვითარების ახლანდელ მდგომარეობაში თუკი გაიმარჯვებს, ეს იქნებოდა ფრანკებისა და ვანდალების გამარჯვებაზე უარესი. მაგრამ ხალხი ძალზედ ძლიერია იმისათვის, რომ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იყოს, ამიტომ აუცილებელია ხალხში განათლების შეტანა.

1860-იანი წლების ბოლოს რენანი შეეცადა პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლას. მან დაწერა წიგნი, რომელიც მიმდინარე პოლიტიკას ეხებოდა («Questions contemporaires, პარიზი 1868) და 1869 წელს თავისი კანდიდატურა წამოაყენა საკანონმდებლო კორპუსში. თავისი მსოფლმხედველობით ის იყო ლიბერალური იმპერიალისტი, ისევე როგორც მისი მეგობარი პრინცი ნაპოლეონი და თავისი პროგრამა მოკლედ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „თავისუფლება,

პროგრესი რევოლუციებისა და ომების გარეშე“. თუმცა არჩევნებში მისი მონაწილეობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

ამავე დროს, მუნკის გარდაცვალების შემდეგ, კოლეჟ დე ფრანსში განთავისუფლდა ებრაული ენის პროფესორის კათედრა და რენანმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა, მაგრამ წარუმატებლად. ამ წარუმატებლობებს პოლიტიკისადმი მისი ინტერესი არ შეუნელებია და ნაპოლეონ III-ის დამხობამდე რამდენიმე თვით ადრე გამოსცა წიგნი («Monarchie constitutionelle en France», პარიზი 1870), რომელშიც ის გადაჭრით იცავდა კონსტიტუციურ მონარქიას.

რენანი ოდნავ მოგვიანებით დაინიშნა ამ კათედრაზე, რამაც განაპირობა მისი დაინტერესება ქრისტიანობისა და ებრაელი ხალხის ისტორიით.

1.2. ლიბერალური ცეზარიზმი

1870 წლის ომმა და მასში საფრანგეთის სასტიკმა დამარცხებამ მძიმე დარტყმა მიაყენა რენანს, მაგრამ კვლავ დარჩა პოლიტიკური იდეალიზმის პოზიციაზე. გერმანულ ფილოსოფიაზე აღზრდილი და გერმანელი მეცნიერებისადმი დიდი პატივისცემით გამსჭვალული, რენანი შესაძლებლად მიიჩნევდა საფრანგეთ-გერმანიასთან შერიგებას. ეს პოზიცია გამოხატა დავით შტრაუსთან, სადაც ის ცდილობდა ეჩვენებინა საფრანგეთისგან ელზას-ლოტარინგიის ჩამოცილების არამართებულობა და ნეგატიური შედეგები. შტრაუსმა თარგმნა რენანის წერილი და გამოაქვეყნა თავისი პასუხით, ჰონორარი კი დაჭრილ გერმანელ ჯარისკაცების სასარგებლოდ გადარიცხა. შტრაუსის პოზიცია, ისევე როგორც გერმანელი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებისა, აღარ ტოვებდა შერიგების იმედს. რენანმა რადიკალურად შეცვალა თავისი დამოკიდებულება გერმანელებისადმი და ეს რუსეთისადმი პოზიტიური დამოკიდებულებით შეცვალა.

ომის შედეგების მიუხედავად, რენანი დარჩა ლიბერალური ცეზარიზმის პოზიციაზე, რასაც, მისი აზრით, ყველაზე უკეთ შეეძლო საფრანგეთის ჭრილობების განკურნება. ყველაზე შესაფერის ადამიანად კი ამისათვის კვლავ ნაპოლეონი ესახებოდა.

პარიზის კომუნამ რენანს გაუძლიერა უნდობლობა დემოკრატიისადმი. თავისი პოლიტიკური შთაბეჭდილებები რენანმა გადმოსცა წიგნში „საფრანგეთის ინტელექტუალური და მორალური რეფორმა“ (პარიზი, 1871), რომელიც კარგად ახასიათებს რენანს როგორც პოლიტიკოსს.

პარიზის კომუნის დროს რენანი ვერსალში ცხოვრობდა და იქ მუშაობდა თავის „ფილოსოფიურ დიალოგებსა და ფრაგმენტებზე“. მასში ჩანს ბრბოსადმი ზიზღი და რჩეულთა ბატონობის მოთხოვნა.

2. ერნსტ რენანის მოხსენების პოლიტიკური კონტექსტი: რენანი ფიხტეს წინააღმდეგ

2.1. რენანის მოხსენების პოლიტიკური კონტექსტი

რენანმა თავისი მოხსენება 1882 წლის 11 მარტს წარმოადგინა, საფრანგეთ-პრუსიის ომის დამთავრებიდან 11 წლის შემდეგ. ამ ომის შედეგად საფრანგეთმა დაკარგა ელზას-ლოტარინგია, რომელზედაც გერმანია აცხადებდა პრეტენზიას იმის გამო, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებნი ძირითადად გერმანულად ლაპარაკობდნენ. ამ ტერიტორიის დაკარგვა მტკივნეული იყო ყველა ფრანგი პატრიოტისთვის, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ მისი მალე დაბრუნების იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ამიტომაც საფრანგეთის ინტელექტუალურ წრეებში გაჩნდა საკუთარი სიმართლისა და სამართლიანობის აღდგენის გაურკვეველი ვადის განცდა.

თავის მოხსენებაში რენანს სურდა დაესაბუთებინა საფრანგეთის აღმოსავლელი მეზობლის ტერიტორიული ექსპანსიის უსაფ-

უძვლობა და ამით დაკარგული მიწების საფრანგეთისთვის დაბრუნების აუცილებლობა. ამისათვის მას სჭირდებოდა იმათი არგუმენტების მსხვრევა, ვინც ერს, მისი აზრით, არასწორად განსაზღვრავდა.

2.2. ფიხტე: ენობრივი ერთობა ერის არსებობისათვის განმსაზღვრელია

იოჰან გოტლიბ ფიხტე (1762-1814) გერმანული ნაციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მას ეკუთვნის გერმანელთა თავისებური ეროვნული მანიფესტი "სიტყვები გერმანელი ერისადმი" (1807-1808). ეს იყო ლექციების ციკლი, რომლის კითხვაც ფიხტემ 1807 წლის დეკემბერში ბერლინის უნივერსიტეტში დაიწყო ეს იყო მეცნიერული და მოქალაქეობრივი მამაცობის გამოვლინება ცნობილი ფილოსოფოსის მხრიდან, რადგანაც ამ დროს ბერლინი ფრანგების მიერ იყო ოკუპირებული. აღსანიშნავია, რომ გერმანულმა ცენზურამ უარი უთხრა ლექციების დაბეჭდვაზე, თანაც დაუკარგა ძალზედ მნიშვნელოვანი უკანასკნელი სიტყვის ტექსტი.[1]

ფიხტე აანალიზებდა ერის აღორძინებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების პირობებს. ეს იყო რეაქცია ფრანგულ ოკუპაციაზე, როდესაც გერმანელებმა დაკარგეს პოლიტიკური, ადმინისტრაციული, კულტურული და ენობრივი დამოუკიდებლობაც კი.

იმ დროს ერად ითვლებოდა ერთ პოლიტიკურ სხეულში, ერთი კანონით მცხოვრები ადამიანთა ერთობა. ფიხტე როდესაც თავის ლექციებს კითხულობდა გერმანია ერთიანი არ იყო. ფრანგთა ბატონობის ქვეშ მყოფთ და მრავალ სახელმწიფოდ დაქსაქსულ გერმანელებს მხოლოდ ენა აერთიანებდათ. ფიხტე აღნიშნავდა, რომ

[1] პოპერი წერს: „პირველი, ვინც გერმანული ნაციონალიზმი თეორიით აღჭურვა, ფიხტე იყო. ერის საზღვრების განსაზღვრას ის ენის მეშვეობით გვთავაზობდა (პოპერი ღია საზოგადოება -გვ.65

ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები თავად ბუნების მიერ შეერთებულნი არიან უხილავი კავშირებით, მათ კარგად ესმით ერთმანეთის და ერთ მთლიანობას უნდა შეადგენდნენ. ამ "შიდა საზღვრიდან", ფიხტეს აზრით, გამომდინარეობს ყველა გარეთა შეზღუდვები: "ყველგან, სადაც გვხვდება განსაკუთრებული ენა, არის განსაკუთრებული ერი, რომელსაც უფლება აქვს დამოუკიდებლად განაგოს თავისი საქმეები და მართოს თავისი თავი".

მაგრამ ფიხტესთვის ენობრივი ერთობა ერთადერთი არაა. კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გერმანული ენის თვითმყოფადობას. ფიხტე აღნიშნავდა, რომ ფრანგული და ინგლისური ენის ფესვები მიდის ლათინურ ენაში და არსებითად ლათინურად საუბრობენ, უაღრესად შეცვლილი ფორმით. გერმანელები კი თავიანთ ენაზე საუბრობენ, ასეთ ენას ფიხტე "ცოცხალს" უწოდებდა.

ფიხტეს მიაჩნდა, რომ ინგლისელებმა, ფრანგებმა და სხვებმა გაიარეს თავისი "დიდების ზენიტი" და დგება გერმანელთა ისტორიული მისიის დრო (ფიხტეს აზრით, სლავი ხალხები ამისთვის ჯერ არ იყვნენ მომწიფებული).

ფიხტეს "სიტყვების" მთავარი ამოცანა იყო გერმანელი ერის, როგორც თვითმყოფადი ერთეულის შექმნა, რომელსაც თავისი ისტორიული მისია აქვს. ერთიანი გერმანული სახელმწიფო 1870-იან წლებში შეიქმნა.

2.3. საფრანგეთ-პრუსიის ომი და ელზას-ლოტარინგიის საკითხი

ე. რენანის პოზიციის შესაფასებლად მნიშვნელოვანია მისი მიმოწერა ცნობილ გერმანელ თეოლოგთან დავით შტრაუსთან, რომელსაც რენანი თავის მასწავლებელს უწოდებს. ეს მიმოწერა სწორედ ომის დროს ხდება. რენანმა წერილი დ. შტრაუსს 1870 წლის 30 მარტს გაუგზავნა.

წერილია გაგზავნის საბაბი იყო შტრაუსის ახალი გამოსული ნაშრომი ვოლტერის შესახებ, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა, მაგრამ ნამდვილი მიზეზი საფრანგეთ-პრუსიის ომი იყო. დ. შტრაუსმა წერილი გერმანულად თარგმნა და თავის პასუხთან ერთად გაზეთში გამოაქვეყნა. ამას მოჰყვა რენანის ახალი წერილი და შტრაუსის პასუხი. ერთმანეთის მიმართ პატივისცემის გამოხატვასთან ერთად, ორივე განსხვავებულ პოზიციაზე დგას, - ომის დაწყების მიზეზებთან დაკავშირებით და ელზას-ლოტარინგიის საკითხის თაობაზე. რენანი ასაბუთებდა ამ ტერიტორიების საფრანგეთისათვის შენარჩუნების აუცილებლობას, შტრაუსი კი ამ ტერიტორიის გერმანიასთან შეერთების მართებულობას.

რენანი აღნიშნავდა, რომ თუკი უარყოფილი იქნება მემკვიდრეობითი დინასტიური პრინციპი, რჩებოდა მხოლოდ ერთი - ეროვნულობის პრინციპი სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრების დასადგენად.

ეროვნულობა ესაა მოსახლეობის წარმოშობის, ისტორიის და ნების მხედველობაში მიღება. რენანი აღნიშნავდა, რომ გერმანიას ეროვნული არსებობის სრული უფლება აქვს - თავისი ისტორია, სულიერი ფიზიონომია, ლიტერატურა, გენიალური ადამიანები, განახორციელა ახალი დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რევოლუცია, - რეფორმაცია. გერმანიის მისწრაფება შექმნას ერი-სახელმწიფო კანონიერია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი საზღვრები ეთნოგრაფიული პრინციპით უნდა განისაზღვროს - შეიერთოს ყველა გერმანულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობით დასახლებული ტერიტორია. „ყოველი ცალკეული ოლქის ეთნოგრაფიით თუკი დავინტერესდებით, ამით კარს ვუღებთ დაუსრულებულ ომებს“, - აღნიშნავდა რენანი.

რენანის თქმით, ყველა ტერიტორია, სადაც მოსახლეობა ფრანგულად საუბრობს არ შედის საფრანგეთის შემადგენლობაში და ამით საფრანგეთი სარგებელსაც ნახულობს (პირველ რიგში გუ-

ლისხმობს ბელგიის ნაწილს), სავოიას და ნიცას შეერთებით კი საფრანგეთს არანაირი სარგებელი არ მიუღია. რენანი აღნიშნავს, რომ „ეროვნული საზღვრები“ საერთო წესია, მაგრამ მისგან გამონაკლისებიც არსებობს და „ეს გადახრა საერთო წესიდან უაღრესად ხელსაყრელია ცივილიზაციისთვის“. მაგალითად, ელზასის შეერთებამ საფრანგეთთან ხელი შეუწყო გერმანიზმის პროპაგანდას საფრანგეთში. ეროვნულ პრინციპს გერმანიაც არ იცავს ყველგან - გერმანიის შემადგენლობაში მოქცეულია ზოგიერთი სლავური ოლქი.

რენანის თქმით, ელზასის მოსახლეობას რომ ჰკითხონ სად უნდა ცხოვრობდნენ, - საფრანგეთში თუ გერმანიაში, ისინი საფრანგეთხს არჩევენ. გერმანიის მხრიდან ღირსეული მოქმედება არ იქნება ამ ტერიტორიების საფრანგეთისგან ჩამოგლეჯა.

რენანის თქმით, ელზას-ლოტარინგიის ჩამოგლეჯით საფრანგეთი დაცემის გზას დაადგებოდა და შეწყვეტდა არსებობას. საფრანგეთის, ფრანგული აზროვნების წესი კი სჭირდება მსოფლიო ცივილიზაციას.

რენანის თქმით, გერმანიის წინაშე არჩევანია: ან ჩამოგლიჯოს საფრანგეთს ელზას-ლოტარინგია და ამით საფრანგეთი მტრად გადააქციოს, რომელიც რევანშზე იფიქრებს და ახალი ომისათვის შექმნას საფუძველი, ან დათანხმდეს ევროპული სახელმწიფოების შუამავლობას და უზრუნველყოფილი იქნას სამართლიანი მშვიდობა. რენანის აზრით, ამას მოჰყვებოდა ევროპაში ეროვნულობის პრინციპის ჩანაცვლება ფედერალიზმით, რომლის საფუძველიც იქმნებოდა საფრანგეთიას, გერმანიისა და ინგლისის კავშირი.

რენანის არგუმენტები მიუღებელი აღმოჩნდა დ. შტრაუსისთვის, რომელიც თავის წერილებში გამოხატავდა იმდროინდელი, ომში გამარჯვებული გერმანული საზოგადოების განწყობას და პოზიციას.

საფრანგეთი დიდხანს ამცირებდა გერმანიას, სრულად დაპყრობილი ჰყავდა ნაპოლეონის ომების დროს, ხელს უშლიდა გერმა-

ნიის გაერთიანებას. გაერთიანებისთვის მებრძოლი გერმანია არც აპირებდა საფრანგეთის მიერ მიტაცებული გერმანული მიწების, ელზას/ლოტარინგიის დაბრუნების საკითხის დაყენებას, მაგრამ საფრანგეთმა დაიწყო ომი, - გერმანიის გაერთიანების ხელის შესაშლელად და საზღვრის მდინარე რეინზე გადასატანად. გერმანიამ დაამარცხა საფრანგეთი და სრული უფლება აქვს დაიბრუნოს ადრე მიტაცებული გერმანული მიწები - ელზასი და ლოტარინგია.

შტრაუსის თქმით, რენანის მიერ იმის ხაზგასმა, რომ ელზას-ლოტარინგიის დაკარგვით საფრანგეთი დაიღუპება, სამარცხვინოა ფრანგი პატრიოტისათვის. ეს გერმანული მიწებია და მისმა დაკარგვამ როგორ უნდა დაღუპოს საფრანგეთი. გერმანია ხომ არ დაღუპულა თავისი მიწების დაკარგვით.

შტრაუსის აზრით, საფრანგეთი ნებისმიერ შემთხვევაში იფიქრებდა რევანშზე - ტერიტორიის დაკარგვის შემთხვევაშიც და არსებული საზღვრების პირობებშიც. ასეთ ვითარებაში, თუკი გერმანია უარს იტყოდა გერმანული მიწების დაბრუნებაზე, ამით სამომავლოდ გაიუარესებდა თავის პოზიციას და საფრანგეთს უკეთეს პირობებს შეუნარჩუნებდა გერმანიაში შესაჭრელად.

რაც შეეხება ელზას-ლოტარინგიის მოსახლეობის პოზიციას, შტრაუსის თქმით, მათ არ უნდოდათ პირველხარისხოვან სახელმწიფოდან, - საფრანგეთიდან გადასვლა რომელიმე პატარა გერმანული სახელმწიფოს შემადგენლობაში, მაგრამ ეს ტერიტორია 1870-1871 წლების ომის შემდეგ უერთდებოდა ერთიან, ძლიერ გერმანიას, რომელიც აღმავლობის გზაზე იდგა. საფრანგეთი დიდხანს ცდილობდა ელზას-ლოტარინგიის გაფრანგულებას, გერმანია კი შეძლებს ამ რეგიონის მოსახლეობის გერმანულ ოჯახში დაბრუნებას.

დ. შტრაუსის თქმით, გერმანიისთვის მიუღებელია ევროპული შუამავლობაც. ეს შუამავლები არ არიან ნეიტრალურნი და თან გერმანია ბოლო ასეთი ევროპული კონგრესით, რომელიც 1815

წელს ვენაში გაიმართა, - დაზარალებული აღმოჩნდა. მით უმეტეს, რენანი ლაპარაკობდა არა 1870 წლის, არამედ 1811 წლის საზღვრებზე, რაც საფრანგეთის ხელში ახალი ტერიტორიების გადაცემას ნიშნავდა. შტრაუსი ვერ ხედავდა რაიმე არგუმენტს, თუ რატომ უნდა დათანხმებოდა გამარჯვებული გერმანია ევროპულ შუამავლობას.

ასეთი იყო რენანის პოზიცია 1870-1871 წლები ომის შემდეგ. სწორედ ამ ომის შედეგად შექმნილი ვითარებაა გასათვალისწინებელი რენანის მიერ 1882 წლის 11 მარტს წაკითხული ლექციის შინაარსის და მის მიერ მოცემული ერის ცნების განსაზღვრების შესაფასებლად.

3. ერნსტ რენანის მოხსენების ძირითადი დებულებები: რენანი ფიხტეს წინააღმდეგ

3.1. ერების ჩამოყალიბების დასაწყისი ევროპაში

რენანი აღნიშნავს, რომ ერი, ისტორიის თვალსაზრისით, შედარებით ახალი ფენომენია. ათენი, სპარტა, მაკედონია და რომი ერებს არ წარმოადგენდნენ. სხვადასხვა ხარისხით ამ სახელმწიფოებს ახასიათებდათ პატრიოტიზმი, მაგრამ მათ აკლდათ ფუძემდებლური პრინციპი, რომელიც, როგორც რენანი თვლიდა, შეძენილი იქნა მხოლოდ გერმანელთა შემოსევებთან ერთად. ერი შესაძლებელი გახდა მხოლოდ რომის იმპერიის ცალკეულ სახელმწიფოებად დაშლის წყალობით, რაც საბოლოოდ განამტკიცა ვერდენის ხელშეკრულებამ.

დამპყრობლებმა დაპყრობილ ქვეყნებში საფუძველი ჩაუყარეს მომავალ სახელმწიფოებს, მათთვის წარჩინებულ წოდებად იქცნენ, მოიტანეს თავიანთი სამხედრო ჩვევები და პატრიოტიზმი. მაგრამ ამასთან ერთად გერმანულმა ტომებმა მიიღეს ქრისტიანობა, რო-

მელმაც შეუძლებელი გახადა ადამიანთა განსხვავება რელიგიის მიხედვით. დამპყრობლებმა თავისი რასის ძალზე ცოტა ქალები მოიყვანეს თან და განწირული აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ დაევიწყებინათ თავიანთი ენა და თანდათან შერეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

3.2. ერების ნაწილს დინასტიებმა ჩაუყარეს საფუძველი

რენანი განიხილავს ზოგიერთი თეორეტიკოს-პოლიტიკოსის მოსაზრებას, რომ ერების შექმნა მმართველი დინასტიების დამსახურებაა. დაპყრობებით, ხელშეკრულებებით და ქორწინებებით დინასტიების ხელში მოქცეულ ტერიტორიაზე ყალიბდებოდა ერი. რენანის თქმით, 1789 წლის საფრანგეთის საზღვრები არც ბუნებრივი იყო და არც აუცილებელი. შუა საუკუნეების ტერიტორიული ზრდის ეპოქაში წარმოდგენაც არ ჰქონდათ არც ბუნებრივი საზღვრების, არც ერის უფლების და არც პროვინციების სურვილის შესახებ. რენანის თქმით, ინგლისის, ირლანდიის და შოტლანდიის კავშირი ასევე დინასტიის მიერ იყო შექმნილი. იტალია იმიტომ ვერ ჩამოყალიბდა დიდხანს ერად, რომ მისი მრავალრიცხოვანი მმართველი საგვარეულოებიდან მე-19 საუკუნემდე ვერცერთი ვერ გახდა გაერთიანების ცენტრი.

რენანი მართებულად მიიჩნევდა მოსაზრებას, რომ თანამედროვე ერების დიდი ნაწილი შექმნილია ფეოდალური წარმომავლობის დინასტიების მიერ. მაგრამ რენანის თქმით, ეს კანონი აბსოლუტური არაა. შვეიცარიისა და აშშ-ის წარმოქმნას საფუძვლად დინასტია არ უდევს.

რენანი აღნიშნავდა, რომ ერებს არსებობა შეუძლიათ დინასტიების გარეშეც და დინასტიების მიერ შექმნილი ერებიც შეიძლება დინასტიების გარეშეც არსებობდნენ. მაგალითად, საფრანგეთში დინასტიის დამხობის შემდეგ ფრანგმა ერმა გააგრძელა მის გარეშე

არსებობა. თანაც მე-18 საუკუნემ ყველაფერი შეცვალა - მრავალსაუკუნოვანი დამცირების შემდეგ ადამიანი ანტიკურ სულისკვეთებას, საკუთარი უფლებების პატივისცემას დაუბრუნდა. დინასტიების უფლების გვერდით გაჩნდა ერის უფლება.

3.3. ერის არსი: საერთო და დავიწყება

რენანისათვის ერის ჩამოყალიბების პროცესში საკვანძო იდეაა ხალხების შერევა და შემდეგ მათი გაერთიანება ახალი დაპყრობების შედეგად. რენანი თავის ლექციაში თავიდანვე არ აყალიბებს ერის განსაზღვრებას. ის ხალხების შერევის შედეგად წარმოქმნილად თვლის მის თანადროულ ერებს - საფრანგეთს, ინგლისს, გერმანიას, იტალიას და ესპანეთს, თუმცა ერად ყოფნაზე უარს ეუბნება ავსტრიასა და თურქეთს. რენანის თქმით, ერის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ინდივიდს ბევრი რამ ჰქონდეს საერთო, იმისათვის, რომ ბევრი რამ დაივიწყონ. ამ დებულებიდან, სულ ცოტა ის გამომდინარეობს, რომ ერები არიან რთული შემადგენლობის მქონე გაერთიანებები, რომელთაც საერთო სურვილები აერთიანებს. ამიტომ ავსტრია და თურქეთი, სადაც სხვადასხვა ხალხებმა შეინარჩუნეს თავიანთი განკერძოება, არ წარმოადგენენ ერებს.

ევროპის რუქაზე დაკვირვებით რენანი შენიშნავს: თანამედროვე ერი ისტორიული შედეგია მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებიც ერთი და იმავე მიმართულებით მოქმედებენ. ერთობის რეალიზებას ახდენს ან დინასტია (საფრანგეთი), ან პროვინციების უშუალო სურვილები (ჰოლანდია, შვეიცარია, ბელგია), ან საერთო სულისკვეთება, რაც თანდათანობით ამარცხებს ფეოდალიზმის კაპრიზებს (იტალია, გერმანია). ყოველთვის ღრმა მიზეზი წინ უძღოდა ამგვარ წარმონაქმნებს.

ეს პროცესი სხვადასხვა გზით მიმდინარეობდა და პრინციპები ვლინდებოდა სრულიად მოულოდნელი შემთხვევითობე-

ბით. იტალია გააერთიანა მისმა დამარცხებებმა, თურქეთი კი დაუძლურა გამარჯვებებმა. იტალია ერია, თურქეთი კი არა (მცირე აზიის გამოკლებით). საფრანგეთის დიდება იმაში მდგომარეობს, რაც გამოაცხადა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს - ერი არსებობს საკუთარი ნებით.

რენანი სვავს კითხვას თუ რა ქმნის ერს. რატომ არის ერი შვეიცარია სამი ენით, ორი რელიგიით და სამი თუ ოთხი ტომით, ხოლო ერთგვაროვანი ტოსკანა კი არა, რატომაა ავსტრია სახელმწიფო და არა ერი?

3.4. რენანი ერების ჩამოყალიბების არასაკმარისი კრიტერიუმების შესახებ

რენანს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ რთული შესაცნობია ის გზები, რომელთაც ერების ფორმირებამდე მივყავართ. რენანი განიხილავს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც, ზოგიერთი ავტორის აზრით, საკმარისი საფუძველი იყო ერის უფლების წარმოსაქმნელად.

რასა

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომელსაც სადავოდ ხდიდა რენანი იყო რასა. XIX საუკუნეში ეს კატეგორია უაღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნეოდა, გამომდინარე ევოლუციის თეორიიდან. რასობრივი თეორია უკიდურესობამდე მიიყვანეს ნაცისტებმა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პრაქტიკულად გაქრა სამეცნიერო დისკურსიდან. მაგრამ რენანისა და მისი თანამედროვეთათვის რასა მნიშვნელოვანი კატეგორია იყო მწყობრი სამეცნიერო სისტემების ასაგებად.

რენანი თავიდანვე აღნიშნავს, რომ არსებობს რასის ორი გაგება - ერთი მხრივ ისტორიკოსების და ფილოლოგების, მეორე მხრივ კი ანთროპოლოგებისა და ფიზიოლოგებისა. ამ უკანასკნელთ რასა ზოოლოგების მსგავსად ესმოდათ: რასა მიუთითებს წარმოშობაზე, სისხლით ნათესაობაზე, მაგრამ „კაცობრიობის ზოოლოგიური საწყისების“ უსასრულო შერევების შედეგად, მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჰქონდა, როდესაც ადამიანთა პოპულაცია მკაფიო ჯგუფების სახით ჩამოყალიბდა. ამრიგად ფიზიოლოგიური ერთობა არ ახასიათებდა თავდაპირველ არიულ, სემიტურ და თურანულ ჯგუფებს. ამ ჯგუფებს ასეთი ერთობა რომ ჰქონოდათ კიდეც, დროთა განმავლობაში დაკარგეს, რაც დასტურდება დაპყრობებისა და გადასახლებების ხანგრძლივი ისტორიით. ჭეშმარიტ ისტორიკოსებს, რომელთაც რენანი თავის თავსაც მიაკუთვნებს, რასა ესმოდა ერთობის სახით, რომელიც წარმოიქმნება და იშლება. რასა ისტორიკოსებისა და ფილოლოგებისათვის - ესაა ოჯახი ადამიანთა გვარში, რომელსაც გარკვეული ინდივიდუალობა გააჩნია. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ანგლოსაქსურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა რასებზე. ამასთან არცერთ მათგანს არ გააჩნია რაიმე ანთროპოლოგიური საფუძველი.

ყველა დიდი ქვეყანა - ინგლისი, საფრანგეთი, იტალია რასობრივი შერევის გზითაა შექმნილი. გერმანია გამონაკლისი არაა. გამოდის, რომ რასა არ დგას ერის სათავესთან, ამიტომ მასზე დამყარებული არგუმენტები არ გამოდგება ტერიტორიული პრეტენზიებისათვის. რასაზე საუბრისას რენანი გადადის გერმანიაზე და გმობს რასის უფლებას. ის პირდაპირ მიუთითებს, რომ რასის პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ გერმანელები და რომლის თანახმადაც გერმანულმა ოჯახმა დაიბრუნა გერმანელთა დაკარგული წევრები, საშიშია კაცობრიობისთვის. ამ პრინციპის საყოველთაო გამოყენებას, რაც პირდაპირაა დამოკიდებული ეთნოგრაფიის მიღწევებზე, მოჰყვება დაუსრულებელი კონფლიქტები. იმის

ნაცვლად, რომ ვიპოვოთ ახალი ირედენტები, რენანი წინადადებას იძლეოდა შეკითხვა დაესვათ თავად სადავო ტერიტორიის მოსახლეობისათვის..

მიუხედავად ერების შესწავლისადმი ნოვატორული მიდგომისა, რენანი ამავე დროს დაჟინებით ამტკიცებდა რასების უთანასწორობას, რომელთა შორის პირველობას მიაკუთვნებდა „უმაღლეს“ კაცობრიობას - ევროპას. თუმცა, ეს იმდროინდელი განწყობის ასახვაცაა.

ენის ერთობა

რასის შემდეგ რენანი ასაბუთებს, რომ ენის ერთობაც არ არის საკმარისი ერის შესაქმნელად. აშშ და ინგლისი, ასევე ესპანურენოვანი ამერიკა და ესპანეთი ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ერთ ერს არ წარმოადგენენ. მისი აზრით, ენა მხოლოდ მიწვევაა გაერთიანებისკენ, მაგრამ არ აიძულებს გაერთიანებას. ამის მაგალითია შვეიცარია, ერი მიუხედავად ენობრივი განსხვავებებისა გაერთიანებულია თავისი ნაწილების სურვილით. რენანი ამ ფაქტს უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე ენობრივ მსგავსებას, რისი მიღწევაც ზოგჯერ ტანჯვით ხდება. ასეთი მეთოდები მას საფრანგეთისთვის არადამახასიათებლად მიაჩნია. ადამიანებში რაღაც უფრო მაღლა დგას ენაზე, ესაა მათი სურვილი.

რენანს ენა არ მიაჩნია „ღირებულ მოწმედ“ იმისათვის, რომ რაიმე თქვას ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების „სისხლის“ შესახებ. იმის მსგავსად, როგორც უარყოფს ანთროპოლოგიურ შეხედულებას რასაზე, ის ასევე აჩვენებს, რომ აბსურდულია ენა გადაიქცეს პოლიტიკის პრინციპად.

რელიგია

რენანის შემდეგი სამიზნე რელიგია აღმოჩნდა. ახალგაზრდობაში მას სულიერი კრიზისის გადატანა მოუხდა, რის გამოც უარი

თქვა სასულიერო კარიერაზე. რენანმა გააკეთა რთული არჩევანი ყოფილიყო ბიბლიის ტექსტის კრიტიკოსი და არა მისი ბრმად მორწმუნე. რენანს შეეძლო ეთქვა და ეწერა ის, რაც წარმოუდგენელი იქნებოდა, თუკი ის სასულიერო პირი გახდებოდა. წინა ორი კრიტერიუმის მსგავსად, რელიგიას არ შეუძლია საკმარისი საფუძველი იყოს ერის შესაქმნელად. თუ რელიგია იყო ერის სათავეებთან, ეს უკანასკნელი ირღვეოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორ კარგავდა რელიგია თავის ფუძემდებლურ როლს. დასავლეთ ევროპაში რელიგიებმა უკანა რიგში გადაინაცვლეს, მაგრამ ერები, მიუხედავად ამისა, აგრძელებენ არსებობას. აღარ არსებობს სახელმწიფო რელიგია. შეგიძლია იყო გერმანელი და იყო კათოლიკე, პროტესტანტი, იუდეველი და საერთოდ ათეისტი. რელიგია არ ქმნის საზღვრებს ხალხებს შორის.

სეკულარიზაციას რენანი დამთავრებულად თვლიდა და მას დაახლოებით 1830-1870 წლებით ათარიღებდა. ამაზე მიუთითებს ბელგიაზე, რომელიც რენანს მოჰყავს როგორც უკანასკნელი მაგალითი რელიგიის ჩარევისა ევროპულ წესრიგში. რენანი ერებად მიიჩნევს ნიდერლანდებსაც და ბელგიასაც.

ინტერესების ერთობა და გეოგრაფია

ამთავრებს რა თავის მიმოხილვას ერის წარმოშობის ყალბი მიზეზების თაობაზე, რენანი მოკლედ ახასიათებს ისეთ კატეგორიებს როგორიცაა ინტერესთა ერთობა და გეოგრაფია. მისი აზრით ინტერესთა ერთობა შეიძლება მხოლოდ საფუძველი გახდეს სავაჭრო კავშირებისათვის, სადაც ადგილი აქვს გათვლას და არა გრძნობებს. რაც შეეხება გეოგრაფიას, რენანი აღიარებს მის დიდ გავლენას მხოლოდ გაყოფილი ერების შემთხვევაში. ის პატივისცემით უყურებდა ბუნებრივ საზღვრებს და მათ როლს ისტორიაში, მაგრამ ამასთან ერთად დაუშვებლად მიიჩნევს მათ აბსოლუტიზებას. რუკაზე საზღვრების მომრგვალება არ უნდა გახდეს ძალადობის გამართლე-

ბის მიზეზი, სხვანაირად დასასრული არ ექნება ომებს. ამრიგად ერი არ შეიძლება იყოს ჯგუფი, რომელსაც დედამიწის ზედაპირის ნაწილი აერთიანებს.

3.5. ერი - სულიერი ერთობა

რენანი დარწმუნებულია, რომ ერის წარმოშობისათვის საკმარისი არ არის ამ კრიტერიუმების მთელი ერთობლიობაც. თავისი ლექციის ბოლოს რენანი განსაზღვრავს სულიერ პრინციპს, რომელიც არის ერი:

„ერი - ესაა სული, სულიერი პრინციპი. ორი საგანი, რაც არსებითად ერთია, შეადგენს ამ სულს, ამ სულიერ პრინციპს. ერთი - წარსულშია, მეორე - მომავალში. ერთია - მოგონებების მდიდარი მემკვიდრეობა, მეორე - საერთო შეთანხმება, ერთად ცხოვრების სურვილი, კვლავ ერთად გამოიყენონ მიღებული განუყოფელი მემკვიდრეობა“.

ერი, ისევე როგორც პიროვნებები, ხანგრძლივი ძალისხმევის შედეგია. წინაპართა კულტი - ყველაზე კანონიერია, წინაპრებმა გაგვხადეს ისეთი, როგორიც ვართ. გმირული წარსული, დიდი ადამიანები, ჭეშმარიტი დიდება - ესაა მთავარი კაპიტალი, რასაც ემყარება ეროვნული იდეა. გვქონდეს საერთო დიდება წარსულში, საერთო სურვილები მომავალში, - ესაა მთავარი პირობები იმისათვის, რომ იყო ხალხი.

წარსულის დიდებისა და იმედგაცრუების გაზიარება, სურვილი მომავალშიც იგივე პროგრამა განახორციელონ, უხაროდეთ და იმედოვნებდნენ, - ეს ყველაფერი საერთო საბაჟოებსა და საზღვრებზე მეტად აერთიანებთ ადამიანებს, მიუხედავად რასობრივი და ენობრივი სხვაობისა. საერთო ტანჯვა უფრო მეტად აერთიანებთ ადამიანებს, ვიდრე საერთო სიხარული. ეროვნული მეხსიერებისათვის ეროვნულ გლოვას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე

ტრიუფს: გლოვა ადამიანებს ვალდებულებებს აკისრებს, იწვევს საერთო ძალისხმევას.

რენანის თქმით, ერი - დიდი სოლიდარობაა, რაც შექმნა მსხვერპლის გრძნობამ და რისი გაღებისთვისაც ადამიანები მომავალშიც არიან მზად.

ელზას-ლოტარინგიის შემთხვევა

ამ პასაჟს მსმენელის წარმოდგენა გადაჰყავს ელზასსა და ლოტარინგიაში, რომლის მცხოვრებლებიც იძულებულნი არიან თავის ერისგან მოწყვეტილებმა იცხოვრონ. რენანი არ აჭარბებდა ამ ოლქებზე საუბრისას. იქ მცხოვრები ადამიანები მართალია გერმანულად ლაპარაკობდნენ, მოითხოვდნენ გერმანიის ხელისუფლებისაგან უფლება ჰქონოდათ თავად განესაზღვრათ საკუთარი ეროვნული კუთვნილება. გერმანიის ხელისუფალთა ძალისხმევას საფრანგეთისგან წართმეულ ტერიტორიებზე დაემკვიდრებინათ გერმანიზმის სულისკვეთება შედეგი არ მოჰქონდა და ვერ აღმოფხვრა მათი კავშირი საფრანგეთთან. ამას აღიარებდა გერმანელი ნაციონალისტი მაქს ვებერიც.

ერი - ყოველდღიური პლებისციტი

ამ მოხსენებაში რენანის მიერ მოცემულმა ერის კიდევ ერთმა განსაზღვრებამ ჰპოვა ყველაზე ფართოდ გახდა ცნობილი: ერი - ეს ყოველდღიური პლებისციტია. ერი გულისხმობს წარსულს, მაგრამ დღევანდელობაში მისი შეჯამებაა თვალსაჩინო ფაქტი: ესაა სურვილი გააგრძელონ ერთად ცხოვრება. სწორედ ესაა ყოველდღიური პლებისციტი.

ელზას-ლოტარინგიის მცხოვრებლებისთვის რომ საშუალება მიეცათ თავისი ნების გამოხატვისთვის მისი შედეგი არავისთვის სადავო არ იქნებოდა. ეს ნების გამოხატვა ერის შემადგენელ ნაწი-

ლებში ყოველდღე ხდება, ისინი დამოუკიდებლად განსაზღვრავენ თავიანთ მომავალს.

3.6. რენანი და სამოქალაქო ერის კონცეფცია

რენანი, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, არ ყოფილა არც პირველი და არც ერთადერთი წინამორბედი სამოქალაქო ნაციონალიზმისა. ამის შესახებ ჯუზეპე მაძინი პირველი ალაპარაკდა სერიოზულად.

სამოქალაქო ერის იდეა დომინირებს თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში. ისტორიის მანძილზე მას იცავდა და ავითარებდა მრავალი ავტორი, მაგრამ რენანის განსაზღვრებამ („ყოველდღიური პლებისციტი“) შეინარჩუნა თავისი დამაჯერებლობა.

რენანის მიერ გადმოცემული ფრანგული საზოგადოების განწყობა აისახა ქვეყნის ცხოვრების მრავალ სფეროზე. რენანის ერის კონცეფციამ გავლენა მოახდინა მოქალაქეობის ფრანგულ კონცეფციაზე, რომელიც დღემდე განისაზღვრება „ნიადაგის უფლებით“ (jus soli), გერმანიაში კი მოქალაქეობის კანონმდებლობა ემყარება „სისხლის უფლებას“ (jus sanguinis).

ყურადღების გარეშე არ უნდა დავტოვოთ საკითხიც, რომელსაც თავის მოხსენებაში რენანი გვერდს უვლის: რა იქნება, რომ საკუთარი ნების გამოხატვის დროს ერის ნაწილმა აირჩიოს ცალკე არსებობას მომავალში? ამის თაობაზე მსჯელობა მარტივია, როდესაც მეზობელ სახელმწიფოს ეხება.

ნებისმიერ შემთხვევაში რენანის მოხსენება მკითხველისაგან კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს. თანამედროვე მკითხველზე დადებით შთაბეჭდილებას ახდენს რენანის განსჯა ერის შესახებ და მისი მოხსენების ჰუმანისტური პათოსი. თუმცა, რენანის სხვა ნაშრომების გაცნობამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მისდამი დამოკიდებულება.

4. ერის ცნების რენანისეული განსაზღვრება და პირველი გამოხმაურებები საქართველოში

4.1. რენანის ლექციის „რა არის ერი“ პირველი ქართული თარგმანი

რენანის მიერ 1882 წლის 11 მარტს წაკითხულ ლექციას მაშინ-ვე მოჰყვა გამოხმაურება საქართველოში. ის მაშინვე ითარგმნა და დაიბეჭდა ჟურნალ ”ივერიაში” (1882 N 3, გვ.103-129). რედაქციამ პუბლიკაციას მხოლოდ მცირე მინაწერი დაურთო: ”ეს შესანიშნავი სიტყვა საფრანგეთის გამოჩენილმა სწავლულმა ერნესტ რენანმა წარმოსთქვა პარიჟის უნივერსიტეტში წრეულს 27 თებერვალს (სა-ქართველოში კალენდარი ამ დროს ძველ სტილზე იყო - მ. მ.) და რამდენსამე ფრანცუზულს ჟურნალში დაიბეჭდა. იმ ეროვნებრივს მოძრაობის გამო, რომელიც მთელს ევროპას მოედო ამ უკანსკნელს ხანს, ეს წერილი ჩვენის მკითხველებისათვისაც საყურადღებო უნ-და იყოს”.

ერთი წლის შემდეგ რენანის სტატიას იმავე ჟურნალში გამო-ეხმაურა ე. იოსელიანი სტატიით ”მეცნიერის ბორძიკი” (1883 N 2, გვ.88-112). იოსელიანი აღნიშნავდა, რომ რენანის ლექციის გამოქ-ვეყნებისას ჟურნალ ”ივერიას” რედაქცია ”მკითხველს არწმუნებდა მის თანხმობას რენანის წარმოთქმულ აზრებთან”. თავად იოსელია-ნი მაშინ რედაქციაში არ მუშაობდა და თავს ვალდებულად არ თვლიდა თანხმობა გამოეხატა ”რენანის მიერ ბნელად გამოთქმუ-ლის აზრებისა”.

ე. იოსელიანი არ ეთანხმებოდა რენანის მოსაზრებას, რომ ძველ დროში ერები არ არსებობდნენ, - „ნაცია, როგორც ჩვენ გვეს-მის, ახალი ისტორიის ნაყოფი არისო”. იოსელიანი ამ მოსაზრებას ”მეცნიერის ბორძიკს” უწოდებდა. ”რენანის გამოკვლევით არც ეგ-

ვიპტე, არც ჩინეთი არ შეადგენენ ნაციას; ისინი იყვნენ ხალხის გროვა... რა მხრიდანაც გინდათ შეხედოთ ამ აზრს, უსაფუძვლობის მეტი არა ჩანს-რა", - აღნიშნავდა იოსელიანი.

იოსელიანი გადმოსცემს რენანის ლექციის ძირითად დებულებებს, მათ არასწორად აცხადებს და აღნიშნავს: "მკითხველი კარგად ჰხედავს რა აჩქარებით არის აჩონჩხილი ლექტორის აზრები".

ე. იოსელიანი აყალიბებს ერის განსაზღვრების საკუთარ ვარიანტს: „ნაცია არის პოლიტიკური და საზოგადოებრივი პირი, ნაწილი კაცობრიობისა" .

4.2. რენანის ლექციის „რა არის ერი" მეორე ქართული თარგმანი

გაზეთმა „ივერიამ" 1901 წლის თებერვლის რამდენიმე ნომერში გამოაქვეყნა რენანის ლექციის „რა არის ერი" ახალი თარგმანი. რედაქცია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ლექცია ფრანგულიდან იყო თარგმნილი.[2]

გაზეთ „ივერიის" რედაქცია იმასაც აღნიშნავდა, რომ წლების წინ ჟურნალმა „ივერიამ" პირველად გამოაქვეყნა რენანის ლექციის თარგმანი და იქვე დაიბეჭდა „ჩვენებურის მოპასუხის წერილი" (იგულისხმება ე. იოსელიანის წერილი) და ყველაფერი ამით ამოიწურა. „ჩვენი მწერლების მოუმზადებლობა იყო... თუ სხვა რამ გარემოება, ამითი დასრულდა ჩვენში განხილვა საგნის, რომელმაც სხვა ერთა შორის მთელი მწიგნობრობა დაჰბადა".

„ივერიას" რედაქცია რენანის ლექციის ხელახლა გამოქვეყნებით იმედოვნებდა, რომ ამჯერად ერის ცნება და ზოგადად ეროვნული თემატიკა ფართო განხილვის საგანი გახდებოდა. ასეთი

[2] „ივერია", 1901 წლის 21 თებერვალი (N40), 22 თებერვალი (N41) და 23 თებერვალი (N43)

იმედის საფუძვლად კი მიიჩნევდა 1900 წლის ბოლოს ქართულ პრესაში გამოჩენილ ორ სტატიას: „ეხლახან ვითომდა თავი იჩინა ისევ ჩვენს მწერლობაში ამავე საგანმა და საბაბად კი გაუხდა წერილი ერთის "შორს მყოფის ქართველისა", რომელიც "კვალის" რედაქტორს დაეკითხა: "წვრილნი ერნი უნდა სცდილობდნენ დაიცვან თავისი ხალხოსნობა თუ არაო". ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ "შორს მყოფ ქართველს" პასუხი გასცა ("კვალი", N 51), მაგრამ ამათ "ცნობის ფურცელი" გამოელაპარაკა (N 1332) და, როგორც კილო უთხრობს, შესაძლებელია კამათიც გამართონ, თუ მხოლოდ ერთმანეთი ქართულად არ აიგდეს".

თავის მხრივ, „ივერიას" რედაქცია აღნიშნავდა: „დრო არის, მგონია, მკითხველს საზოგადოებას მიეცეს შემთხვევა, თავისს მწერალთაგან მოისმინოს უფრო დალაგებული განხილვა ამ საინტერესო საგნისა, კარგად გაითვალისწინოს ნამდვილი ვითარება და თვისება ბრძოლისა როგორც კერძოდ რომლისამე ერის კლასსთა, ისე საზოგადოდ ერთა შორის და შეიგნოს, თუ რამდენად ხელს უწყობს ან უშლის ერთი თუ მეორე მდგომარეობა ერად ცხოვრების გამტკიცებას თუ შესუსტებას".

სწორედ ასეთი განხილვის დაწყების იმედით გაზეთმა „ივერიამ" გამოაქვეყნა რენანის „რა არის ერი" და რენანის ამ წერილზე მეორე ფრანგი მეცნიერის შარლ ბიგოს გამოხმაურება, „რომელიც უფროს ერთად განმარტებს მამულის დედა-აზრს ერის მიმართ, რაც რენანის სიტყვის საგანს შეადგენს".

4.3. ნოე ჟორდანიას პასუხი და „ცნობის ფურცლის" კომენტარი

მოკლედ განვიხილოთ ის წერილები, რაც „ივერიამ" ქართულ პრესაში დიდი დისკუსიის დაწყების საფუძვლად მიიჩნია.

„შორეთელი ქართველის“ შეკითხვას პატარა ერების ბედის თაობაზე ნოე ჟორდანიამ უპასუხა წერილით „პატარა პასუხი დიდ კითხვაზე“. ჟორდანია აღნიშნავდა, რომ ერიც ვერ გადაუხვევს ბუნების კანონს და უეჭველად შეეცდება „გაიზარდოს, გამაგრდეს და ცხოვრების ასპარეზზე შესაფერი ალაგი მოიპოვოს“, ჟორდანიას თქმით „ერის გადაგვარება ნიშნავს დაკარგვას მისი ენის, კულტურული მდგომარეობის და ტერიტორიის“. ამის დაკარგვა კი ერის სიკვდილს ნიშნავს. ბუნებრივია ერები ცდილობენ ეს არ დაუშვან. „ყოველი ერი მდგომარეობით იძულებულია თავისი „მე“ დაიცვას და რაც შეიძლება განავითაროს“.[3]

„კვალში“ დაბეჭდილ ამ პასუხს გამოეხმაურა „ცნობის ფურცელის“ მიმომხილველი. მას ჟორდანიას პასუხის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ მიიჩნევდა, რომ „შორს მყოფ ქართველის კითხვას“ სხვანაირი პასუხი უნდოდა ჟორდანიასაგან. კერძოდ კი, გაზეთი „კვალი“ და მისი თანამშრომლები აღიარებენ „ისეთ სოციოლოგიურ მოძღვრებას, რომლის მიხედვით კაცობრიობის ისტორია მხოლოდ კლასთა ბრძოლაა და სხვა არაფერი“.

„ცნობის ფურცელის“ მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ერის ზრდა-გაძლიერებას „წინ ეღობება ბევრი რამ ხელის შემშლელი და ამ ბევრ რამეში ერთი უმთავრესთაგანია მეორე ერის მისწრაფება ამგვარივე მიზნისკენ“. კლასობრივ ბრძოლასთან ერთად არსებობს ერებს შორის ბრძოლაც და „ბ. ჟორდანიას უნდა მიექცია ყურადღება იმისათვის, თუ რამდენად ეთანხმება მის მიერ აღიარებული სოციოლოგიური მოძღვრება ამ ფაქტს. ის კი გვერდს უვლის ამას და უმნიშვნელო, ზოგადი ხასიათის ფრაზებით იძლევა პასუხს“.

4.4. იპ. ვართაგავა ეროვნული თვითცნობიერების შესახებ

[3] ჟორდანია ნოე. პატარა პასუხი დიდ კითხვაზე - „ კვალი“, 1900, N 51, გვ. 807-808.

1901 წლის 15 და 17 ივნისს გაზეთმა „ივერიამ“ გამოაქვეყნა იპ. ვართაგავას სტატია „ჩვენი ეროვნული თვითცნობიერება“. სტატია აღსანიშნავია იმით, რომ ავტორი მას იწყებს ერის შესახებ ე. რენანის შეხედულების გადმოცემით და აღნიშნავს, რომ რენანისეულ განსაზღვრებას სრულად ეთანხმებოდა.

ვართაგავა აღნიშნავს, რომ „იმ ხალხს, ან ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც არა აქვს, ან როგორმე დაუკარგავს ეროვნული თვითცნობიერება, არ შეუძლიან თავის თავს ერი უწოდოს“.

ვართაგავა მოკლედ გადმოსცემს რენანის თვალსაზრისს: „რა-საკვირველია, არა მარტო ამ ჯგუფის საერთო შთამომავლობა, არა მისის წევრების საერთო დედა-ენა, არა ერთს მიწა-წყალზედ ცხოვრება, არა ცალკე წევრთა ბუნებრივი ნიჭი, გონების სიმახვილე, მხნეობა და გამრჯელობა! ყველა ეს ერთად და კერძოდ აღებული თითოეული მათგანი ვერ შექმნის იმას, რასაც ეწოდება ეროვნება, თუმცა ყველა ეს აუცილებელს ელემენტს შეადგენენ ეროვნებისათვის, თუმცა თითოეული მათგანი ხელს უწყობს და აძლიერებს მას, მხოლოდ თვით ეროვნებას, როგორც დიად ისტორიულ პრინციპს, ვერ ჰქმნის“. ერად გადაქცევისათვის აუცილებელია ეროვნული თვითშეგნების ქონა.

თავის სტატიაში ვართაგავა განიხილავს ეროვნული თვითშეგნების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას ქართველ ხალხში და აკეთებს მწარე შეფასებებს, პირველ რიგში ინტელიგენციის მისამართით.

დასკვნა

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში უაღრესად აქტუალური იყო ეროვნული საკითხი. ამიტომ მაშინვე მიიქცია ყურადღება ცნობილი ფრანგი მეცნიერის ერნსტ რენანის ლექციამ „რა

არის ერი“ (1882). ის მაშინვე ითარგმნა ქართულად და განხილვის საგანი გახდა, გავლენა მოახდინა ბევრი ქართველი მოღვაწის შეხედულებებზე. 1901 წელს რენანის ნაშრომის ახალი ქართული თარგმანის გამოქვეყნება უკავშირდებოდა ქართულ საზოგადოებაში გაშლილ დაპირისპირებას. ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ძალებისთვის რენანის კონცეფცია უპირისპირდებოდა ქართველი მარქსისტებისთვის იმ დროს დამახასიათებელ ეროვნულ ნიჰილიზმს.

ლიტერატურის სია

რენანი ერნსტ. რა არის ერი - ჟურნ. „ივერია“, 1882, N 3, გვ.103-129

რენანი ერნსტ. რა არის ერი - გაზ. „ივერია“, 1901, NN 40, 41 და 43.

ვართაგავა იპ. ჩვენი ეროვნული თვითცნობიერება - „ივერია“, 1901, NN 128, გვ.1-2; 129 გვ.2-3; 130, გვ.2-3

იოსელიანი ე. მეცნიერის ბორძიკი - ჟურნ. „ივერია“. 1883 N 2, გვ. 88-112

ჟორდანია ნოე. პატარა პასუხი დიდ კითხვაზე - „ კვალი“, 1900, N 51, გვ. 807-808.

Malkhaz Matsaberidze

Ernest Renan on the Concept of Nation and the Georgian Political Thought

Abstract

The article highlights the main aspects of the lecture given by the famous French scholar Enest Renan titled as "What is a Nation" (1882) and the subsequent discussion emerging in the Georgian society. His lecture was translated into Georgian on the same year and became a hotly debated. It influenced on the viewpoint of many Georgian public figures of the time. The re-translation of his lecture into Georgian in 1901 was conditioned of those time contraditiction occurring in the Georgian society. The viewpoint of Renan was referred by national forces as the main argument against the Georgian Marxists; the latter were on the position of national nihilism at that time.

Key words: nation, Georgia, Ernest Renan, Ilia Chavchavadze